UDC 351
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-96-103

დეცენტრალიზაცია – ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების ერთადერთი სწორი და აუცილებელი გზა

ნატო ქათამაძე საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: katamadzenato11@gtu.ge

სოფიო დოღონაძე საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: S.dogonadze@gtu.ge

შოთა დოღონაძე საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: Sh.dogonadze@gtu.ge

თამარ რევაზიშვილი საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: t.revazishvili@gtu.ge

რეცენზენტები:

ო. ქოჩორაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: o.kochoradze@gtu.ge

ნ. ნიშნიანიძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: nishnianidzenino07@gtu.ge

ანოტაცია. ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარება, წინსვლა და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია ვერ მიიღწევა ქვეყანაში არსებული ინსტიტუტების დემოკრატიული მმართველობის გარეშე. დემოკრატიული მმართველობა კი, თავის მხრივ, წარმოუდგენელია დეცენტრალიზაციის გარეშე. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში ადგილობრივი სერვისების მიწოდება, პასუხისმგებლობის გადაცემა და მისი სამართლებრივი რეგულირება სწორედ ადგილობრივ დონეებზე ხდება. ეს ყოველივე კი ზრდის ადგილობრივი თვითმმართველობების როლსა და ფუნქციას ქვეყნის მმართველობით ნაწილში.

მიუხედავად საერთაშორისო პრაქტიკისა, საქართველოში მდგომარეობა ჯერ კიდევ შორსაა ევროკავშირის მიერ ლისაბონის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იმ საერთაშორისო პრაქტიკისგან, რომელიც ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობების საკანონმდებლო რეგულაციებს. რეფორმები, რომელიც საქართველოში სისტემატიურად ტარდება, არ არის დაფუძნებული მეცნიერულ კვლევებზე, ხშირად ხდება უცხოური პრაქტიკის პირდაპირ გადმოტანა, რაც ბევრი მიზეზის გამო (გეოგრაფიული, მენტალური, სოციალური და ა. შ.) შედეგს ვერ იძლევა და ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარება ვერ და არ ხერხდება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცენტრსა და რეგიონს შორის დღეს არსებული ურთიერთობები, ფუნქციების გამიჯვნასა და უფლებამოსილებების ნაწილში, შორსაა ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისგან, რომელიც დაფუძნებული იქნება მეცნიერულ კვლევებზე. სწორედ რომ ცენტრალური ხელისუფლებისგან დეცენტრალიზებული ადგილობრივი ხელისუფლება შეძლებს განვითარებას და იმ ამოცანების შესრულებას, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიული პროცესების შეუქცევადობას ქვეყანაში, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება მუნიციპალიტეტების არეალში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე, ვინაიდან, მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მყოფი ხელისუფლება სწორედ ადგილობრივი ხელისუფლებაა და მისი უპირველესი ვალდებულებაა იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი თვითმმართველობა; ადგილობრივი მოსახლეობა; დეცენტრალიზაცია; მოქალაქეები; მუნიციპალიტეტი; საკადრო პოლიტიკა; საჯარო მმართველობა; ცენტრალური ხელისუფლება

შესავალი

თანამედროვე საქართველო, რომელიც დგას დემოკრატიული განვითარების გზაზე, მნიშვნელოვან რეფორმებს ატარებს სახელმწიფო მართვის სფეროში, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით. განსაკუთრებით საყურადღებოა 2014 წელს მიღებული საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. მართალია, მიღებიდან დღემდე მასში 61 ცვლილება შევიდა, თუმცა დეცენტრალიზაციის ნაწილში ჯერ კიდევ პრობლემებია. ცენტრსა და რეგიონებს შორის ფუნქციების გამიჯვნა არაერთი მიზეზის გამო ვერ და არ მოხერხდა. ვერ შედგა პოლიტიკური სპექტრისა და მოსახლეობის კონსოლიდაცია, რამდენადაც კონსოლიდაცია შეუძლებელია ადგილებზე, რეგიონებსა და ადგილობრივ თემებში მოსახლეობის საერთო საქმეებში აქტიურად ჩაბმისა და აქტიური მონაწილეობის გარეშე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დებულების რეალიზაცია იმ მიზნით, რომ რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკის შესახებ ცოდნის, ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარება ხელს შეუწყობს ადგილობრივი თემების ეკონომიკურ კეთილდღეობასა და რეგიონების თანაბარზომიერ განვითარებას

ძირითადი ნაწილი

ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები კომპლექსურია. ეს არის კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიული სიცოცხლისუნარიანობის ფაქტორი, არის ხელისუფლებებს შორის (ადგილობრივი/ცენტრალური) ფუნქციების გადანაწილება/გაერთიანებისა და ფინანსური ავტონომიის ფაქტორი და არის პოლიტიკური, მოსახლეობასა და ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორი. აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობა ხელს უშლის როგორც მუნიციპალიტეტების, ისე ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

არაერთხელ აღინიშნა, რომ დომინირებული ცენტრალიზებული მმართველობა აზიანებს როგორც ადგილობრივი თვითმართველობების, ისე ქვეყნის განვითარებას. ევროპის ქვეყნების მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ცენტრალური ხელისუფლების მინიმალური ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობაში კარგ შედეგს იძლევა. საქართველოში მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის იმპლემენტაციის მიზნით. თუმცა, ის ამოცანა, რომელსაც ქარტია ხელმომწერი სახელმწიფოებისგან მოითხოვს ფინანსურად სუსტი თვითმმართველი ერთეულების სასარგებლოდ ფინანსური გამოთანაბრების პოლიტიკის გატარებას, რამაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი თვითმმართველობის თანაბრად ეფექტიანი განხორციელება უნდა უზრუნველყოს, ჯერ კიდევ რეალიზებული არ არის. ყველა კვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა.

ადგილობრივი თვითმმართველობების სიცოცხლისუნარიანობა დიდ წილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კომპეტენტურად არის ორგანიზებული ეკონომიკური საქმიანობა მუნიციპალურ ტერიტორიაზე, როგორ არის აგებული მუნიციპალური ეკონომიკის სისტემა, რამდენად სწორად განისაზღვრება მუნიციპალური პოლიტიკის სტრატეგიული მიზნები სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, რამდენად რაციონალურად გამოიყენება რესურსები პრობლემის გადასაჭრელად და რამდენად თანამიმდევრულია დაგეგმილი აქტივობები.

იმ ქვეყნებში კი, სადაც სუსტია დემოკრატია, მწირია დამოუკიდებლად მოქმედების გამოცდილება, ნაკლებია როგორც მატერიალური, ისე კვალიფიციური კადრების რესურსები, არ არსებობს სათანადო ფინანსური და ეკონომიკური საფუძვლები, მნიშვნელოვნად ფერხდება როგორც თვითმმართველობის სრულფასოვანი განხორციელება, ისე, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება. ე.ი. სუსტია ადგილობრივი თვითმმართველობების სიცოცხლისუნარიანობა. ამ პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო გზა, როგორც მოწინავე ევროპული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, თვითმმართველ ერთეულთა თანამშრომლობის ანუ ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის ჩამოყალიბებაა.

ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა ორგანიზაციული და სამართლებრივი მექანიზმია, რომელიც საშუალებას იძლევა ინტერესებისა და ძალისხმევის (მათ შორის ფინანსური, მატერიალური და სხვა რესურსების) გაერთიანებით კოორდინაცია გაეწიოს მუნიციპალიტეტების ქმედებებს ადგილობ-

რივი მნიშვნელობის საკითხების გადასაჭრელად, გამოიხატოს და დაცულ იქნეს საერთო ინტერესები, უფრო მკაფიო და კოორდინირებული ურთიერთქმედება წარმოებდეს რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ვფიქრობთ, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის საფუძვლების შექმნა, რომლის შემდგომი განვითარება დამოკიდებული იქნება როგორც ინტერმუნიციპალური გაერთიანებების ეკონომიკური ბაზის გაძლიერებაზე და გადაწყვეტილებების მიღების საკითხში ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობის დონეზე, ისე, სამთავრობო ორგანოების კარგად გააზრებულ სამართლებრივ პოლიტიკასა და კანონების იურიდიულ ხარისხზე.

დეცენტრალიზაცია არის ერთადერთი სწორი და აუცილებელი გზა ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებისათვის. ძალაუფლების დეცენტრალიზაცია ანუ ძალაუფლების გადანაწილება ცენტრალური ხელისუფლებიდან ხალხზე, ნიშნავს საზოგადოების დემოკრატიზაციას. ამასთანავე, რაც მეტია დეცენტრალიზაცია, მით მეტია დემოკრატია. ადგილობრივ დონეზე დემოკრატიისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა, მოსახლეობისთვის ძირითადი სერვისების მიწოდება, ადგილობრივი განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა – სწორედ ეს არის დეცენტრალიზაციის მიზნები. თუმცა, საქართველოში ცენტრსა და რეგიონს შორის დღეს არსებული საბიუჯეტო ურთიერთობები, შემოსავლების მიღებისა და განაწილების მიმართულებით პრობლემურია ისევე, როგორც პრობლემურია მუნიციპალიტეტების საკადრო პოლიტიკა, რაც გამოიხატება ცენტრალური ხელისუფლების მაქსიმალური ჩართულობითა და კონტროლით ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ეფექტიანი დეცენტრალიზაცია და დემოკრატიული ადგილობრივი მმართველობა იძლევა შედეგს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მისი წვლილის გაზრდა მთელი ქვეყნის განვითარებაში.

ცხადია, როდესაც საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, ზოგიერთ რეგიონში კი ფეთქებად საშიში მდგომარეობაა, დეცენტრალიზაციის თემა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა განვიხილოთ, რათა დეცენტრალიზაცია სეპარატიზმში არ გადაიზარდოს და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე არ შეექმნას. თუმცა, ამის გარეშეც რთულია ვიფიქროთ ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებაზე. სწორედ ამიტომ, შესასწავლია ყველა რეგიონის სპეციფიკა, მეცნიერულად დასაბუთებულ დასკვნებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას შორის თანაფარდობების დადგენა და ამის შემდეგ გადაიდგას ნაბიჯები დეცენტრალიზაციის კუთხით.

საქართველოში ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმა, დროში გაიწელა, რამაც შეაფერხა მუნიციპალიტეტების განვითარება. რეფორმების გარეშე საქართველოს ძალიან გაუჭირდება. მსოფლიოში დღევანდელი მოცემულობით, ფისკალური დეცენტრალიზაციის კუთხით კვლევები, საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს, მაგრამ რაიმე სახის უნივერსალური კონცეფცია საქართველოს მსგავსი ქვეყნების მასშტაბით გასატარებელი რეფორმების მხრივ არ არსებობს. მსოფლიო გამოცდი-

ლებიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ დეცენტრალიზაციის ორი იდენტური მაგალითის მოძებნა ძალიან ძნელია. ამიტომაც საჭიროა მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული რეფორმების ინიცირება და განხორციელება. დადასტურებული ფაქტია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება და მის ხელთ არსებული „კომპეტენციების დონე" გადამწყვეტ როლს ასრულებს ამა თუ იმ ქვეყნის წარმატებასა და განვითარებაში.

სერიოზული განხილვის თემად შეიძლება ავიღოთ 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები, როდესაც პარლამენტმა 7 თვითმმართველ ქალაქს გაუუქმა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი და დააბრუნა 2014 წლის მდგომარეობაში. არადა, 2014 წლის რეფორმის უდიდესი მონაპოვარი სწორედ ის იყო, რომ ქვეყანა ცდილობდა რეფორმების გაგრძელებას, სხვა მუნიციპალიტეტების მიმართაც დამოუკიდებლობის მეტი მექანიზმების შექმნას. ამდენად ვთვლით, რომ თვითმმართველი ქალაქებისთვის სტატუსის გაუქმება არ მომხდარა სერიოზული ანალიზის საფუძველზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის გაფართოების იდეას. მიგვაჩნია, რომ ხელისუფლება უნდა დაუბრუნდეს აღნიშნულ საკითხს და მეტი სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება მომავლისთვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის შემდგომი განვითარებისთვის, დეცენტრალიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ გზად მიგვაჩნია საქართველოს რეგიონების გაერთიანება-გამსხვილება იმ მიზნით, რომ რეგიონების ეკონომიკური და საფინანსო მდგომარეობა უფრო მეტად დაუახლოვდეს ერთმანეთს. ვაცნობიერებთ იმას, რომ ეს მარტივი საკითხი არ არის და ბევრ რთულ პრობლემასთან იქნება დაკავშირებული, თუმცა სხვა საშუალება ძნელად გვესახება, რამდენადაც საქართველოს სინამდვილეში არის დიდი ტერიტორიის, ეკონომიკურად ძლიერი რეგიონები და ამასთანავე ისეთი რაიონები, რომლებისთვისაც შეუძლებელი იქნება დამოუკიდებელი არსებობა და ისინი მთლიანად დარჩებიან ცენტრალური ბიუჯეტის იმედზე.

გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა თავის თავში გულისხმობს „მოქალაქის უფლებასა და პასუხისმგებლობას, მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების გადაწყვეტაში, რაც უშუალოდ მას და მის საცხოვრებელ არეალს ეხება", საჭიროა ადგილობრივი ხელისუფლება რაც შეიძლება, ახლოს იყოს მოსახლეობასთან, მუდმივად ეცნობოდეს მათ საჭიროებებს, მუნიციპალიტეტის არეალში მცხოვრებ მოსახლეობასთან ერთად გადაჭრას ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, გამოავლინოს პრობლემები და დაიცვას მათი ინტერესები.

ადგილობრივი თვითმმართველობა არა მარტო საჯარო მმართველობის დეცენტრალიზებული ფორმა, არამედ მოსახლეობის თვითორგანიზაციის საზეობაცაა. ეს სათანადოდ უნდა იქნეს აღქმული და რეალიზებული, როგორც ხელისუფლების, ისე მოქალაქეთა მიერ.

მხოლოდ დემოკრატიულ ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია მოაგვაროს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- მუნიციპალური ქონების ფლობა, გამოყენება და განკარგვა;
- ადგილობრივი ფინანსების ფლობა, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება, დამტკიცება და გამოყენება;

- სკოლამდელი, საბაზო, ზოგადი და პროფესიული განათლების, ჯანდაცვის დაწესებულებების მუნიციპალური დაწესებულებების ორგანიზება, მოვლა და განვითარება;
- ენერგეტიკის, გაზის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ობიექტების მართვა და მოვლა;

საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კომუნალური მომსახურება და გარემოს დაცვა;

მიწის რესურსების ეფექტიანად განაწილება და გამოყენება

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვძლია აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში გატარებულია არაერთი რეფორმა ადგილობრივი თვითმმართველობის სრულყოფის მიმართულებით. თუმცა, უმეტესწილად ეს რეფორმები არ ეფუძნებოდა ღრმა მეცნიერულ ანალიზს და მათი შედეგიანობაც ნაკლები იყო. მართალია, აღინიშნებოდა პოზიტიური ძვრებიც, მაგრამ საერთო ჯამში სერიოზული შედეგები ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების მხრივ ვერ მოიტანა და ამ კუთხით პრობლემები ჯერ კიდევ მრავლადაა. კერძოდ: ადგილობრივი თვითმმართველობების სუსტი სიცოცხლისუნარიანობა, რაც მუნიციპალური ეკონომიკის სისტემის გაუმართაობით, რესურსების ირაციონალური გამოყენებით და არათანმიმდევრულად დაგეგმილი აქტივობებით არის გამოწვეული; ასევე, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის ფუნქციების გადანაწილება/გაერთიანების, ფინანსური ავტონომიისა და საკადრო პოლიტიკის პრობლემები, რაც საბოლოოდ დეცენტრალიზაციას აფერხებს.

ვფიქრობთ, დეცენტრალიზაციის პროცესის აქტივიზაციისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობის შემდგომი განვითარებისთვის, მიზანშეწონილი იქნება ქვეყნის რეგიონების გაერთიანება-გამსხვილება მათი ეკონომიკური და საფინანსო მდგომარეობის მიახლოების მიზნით. ადგილობრივი თვითმმართველობების სიცოცხლისუნარიანობის გასაძლიერებლად საუკეთესო გზად მიგვაჩნია თვითმმართველ ერთეულთა თანამშრომლობის ანუ ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის ჩამოყალიბება ისე, როგორც ეს გაკეთდა ევროპის მრავლ მოწინავე ქვეყანაში. იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველო დაძლევს არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს და მიაღწევს სათანადო დონეზე ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრულ ინტეგრაციას.

ლიტერატურა

1. Constitution of Georgia (1995) https://parliament.ge/legislation/constitution, 2023.
2. Organic Law of Georgia Local Self-Government Code (2014). Website: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=68.
3. European Charter of Local Self-Government (1985). Strasbourg.
4. Decentralization Strategy 2020-2025, 3-24. Retrieved from: https://bit.ly/36cVqV7.
5. Bolashvili P. (2001). Social and Economic Problems of Municipal Development. Scientific-Research Institute of Economic and Social Problems under the Ministry of Economy, Industry and Trade of Georgia. (In Georgian)

6. Gatserelia A., Gegenava D., Zomermani K., Kobakhidze I., Rogava Z., Svanishvili S., Turava P., Kalichava K., & Khubua G. (2016). Handbook of the legal bases of public administration. (In Georgian) Retrieved from: http://lawlibrary.info/ge/books/giz2016-ge-handbook-legal-bases-public-administration.pdf.
7. Dogonadze Sh., Iashvili G. (2013). Public Service in Georgia: Reforms, Challenges. - "Electronic. Government". . (In Georgian)
8. Rekvava P., Kusiani R. (2002). Forms of implementation of local government in foreign countries and in Georgia. . (In Georgian)
9. Shanshiashvili B. (2006). Scientific foundations of administrative and public administration. (In Georgian)
10. Vartašová A., Červená K. (2023) Position of the Local Development Fee in the System of Local Taxes and Fees in the Slovak Republic. Lex localis-journal of Local Self-Government.
11. Town and Parish Councils, Cumbria Associationof Local Councils and Westmorland and Furness Council (2023). Cumbria Associationof Local Councils. Retrieved from: https://www.westmorlandandfurness.gov.uk/sites/default/files/202406/App%201%20CALC%20Building%20Communities%20v1.0.pdf.

UDC 351
SCOPUS CODE 1401
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-1-96-103

Decentralization - The Only Correct and Necessary Way to Strengthen Local Governments

Nato Katamadze Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: katamadzenato11@gtu.ge

Sofio Dogonadze Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: S.dogonadze@gtu.ge

Shota Dogonadze Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: Sh.dogonadze@gtu.ge

Tamar revazishvili Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: t.revazishvili@gtu.ge

Reviewers:

N. Nishnianidze, Professor, faculty of Public Law, GTU
E-mail: n.nishnianidze@gtu.ge
O. Kochoradze, Professor, faculty of Public Administration and E-Business, GTU
E-mail: o.kochoradze@gtu.ge

Abstract. development of local self-governments, progress and integration into European structures cannot be achieved without democratic governance of existing institutions in the country. Democratic governance is incon-

ceivable without decentralization. In the majority of European countries, provision of local services, transfer of responsibility and its legal regulation are done at local levels. All this increases the role and function of local self-governments in the governing part of the country.

Despite the international practice, the situation in Georgia is still far from the international practice considered by the European Union in the Treaty of Lisbon, which implements the legal regulations of local self-governments. Reforms that are systematically carried out in Georgia are not based on scientific research, they are often directly copied from foreign practices, which for many reasons (geographical, mental, social, etc. s.) does not give results and the development of local self-governments cannot and cannot be achieved.

Based on the above, we can safely say that the current relations between the center and the region, in terms of the separation of functions and powers, are far from the implementation of such legislative changes, which are necessary for the development of local self-governments, which will be based on the specifics of the country and scientific research. That is, the local government decentralized from the central government will be able to develop and fulfill the tasks that ensure the irreversibility of democratic processes in the country. This has a direct proportional impact on the living conditions of the people living in the municipalities, because the government closest to the population is the local government, and its primary responsibility is to take care of their well-being

Keywords: central government; citizens; decentralization, local self-government, personnel policy.

განხილვის თარიღი 10.12.2024
შემოსვლის თარიღი 10.12.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.03.2025